საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 45 03/07/2017

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულის წმიდა თორმეტი მოციქულის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდისათვის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა 2121 ,,ნივა“-ს სარგებლობის უფლებით თხოვების ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით ერთი წლის ვადით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულის წმიდა თორმეტი მოციქულის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდს“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა 2121 ,,ნივა“, სახელმწიფო NBUB 397

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე